ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3926211

ნომერი: AR1592300

თარიღი : 13.04.2018

გაცემის თარიღი : 23.04.2018

გაცნობის თარიღი : 24.04.2018

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ალ.ყაზბეგის გამზირი N21;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ნინო ბერიძე პ/ნ 01019021097
- ქ. თბილისი, ზესტაფონის ქ. #19კორპ.ა.ბინა43

ორგანიზაცია:
- სს პროკრედიტბაკნი კოდი: 204851197

ნომენკლატურა :

- I კლასი
- შენობა-ნაგებობის ფასადზე მცირე ზომის არქიტექტურული ელემენტების, კონსტრუქციების და ტექნიკური საშუალებების მოწყობა ან დემონტაჟი
  რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების

წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ შემდეგს:

თქვენს მიერ წარმოდგენილი ფოტომონტაჟით და საპროექტო დოკუმენტაციით ირკვევა, რომ ხდება არსებული ასფალტის-ავტოსადგომის ღებვა და ასევე მანიშნებელ დგარზე დამატებით დამტენის მანიშნებელი აბრის განთავსება. აღნისნული სცდება არქიტექტურის სამსახურის კომპეტენციის ფარგლებს და შესაბამისად აღნიშნულ ნაწილში სამსახური თქვენს მოთხოვნას ვერ დააკმაყოფილებს. საჭიროა საპროექტო დოკუმენტაციიდან ამოღებულ იქნას ზემოაღნიშნული მასალები.
რაც შეეხება ელექტრო დამტენს, აღნიშნული სახით ქუჩის მიმდებარე გამწვანებულ ზოლზე, გაზონზე ან/და სხვა სახის გამწვანებულ ტერიტორიაზე მოწყობა სამსახურს მიზანშეწონილად არ მიაჩნია. საჭიროა აღნიშნულ ობიექტს მოეძებნოს განთავსების ალტერნატიული ვარიანტი და იმ შემთხვევაში თუ მოხდება აღნიშნულის თვითმართველი ერთეულის საკუთრებაში განთავსება საჭიროა წარმოდგენილ იქნას შესაბამისი მესაკუთრის თანხმობა.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.